დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №53
2015 წლის 17 დეკემბერი

ქ. დედოფლისწყარო

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული (ფაქტობრივად მცხოვრები) მოქალაქეების 2016 წლის მინიმალური სოციალური დახმარებისა და დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიების 2016 წლის პროგრამისა და მისი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლისა და 23-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

დამტკიცდეს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული (ფაქტობრივად მცხოვრები) მოქალაქეების 2016 წლის მინიმალური სოციალური დახმარებისა და დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიების 2016 წლის პროგრამა, დანართი 1-ის და პროგრამის ბიუჯეტი დანართი 2-ის შესაბამისად.

მუხლი 2

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობამ უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების 2016 წლის მინიმალური სოციალური დახმარების პროგრამის დაფინანსება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნების ფარგლებში.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს 2016 წლის 1 იანვრიდან.

დედოფლისწყაროს
მუნიციპალიტეტის საკრებულოს **ზვიად ჯავახიშვილი**
თავმჯდომარე

დანართი №1

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული (ფაქტობრივად მცხოვრები) მოქალაქეების 2016 წლის მინიმალური სოციალური დახმარებისა და დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიების 2016 წლის პროგრამა

თავი I

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული (ფაქტობრივად მცხოვრები) მოქალაქეების მინიმალური სოციალური დახმარებისა და დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიების პროგრამის ზოგადი მიმოხილვა

მუხლი 1. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული (ფაქტობრივად მცხოვრები) მოქალაქეების მინიმალური სოციალური დახმარებისა და დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიების პროგრამა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების მინიმალური სოციალური დახმარებისა და დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიების 2016 წლის პროგრამა (შემდგომში – ,,პროგრამა“) განსაზღვრავს დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით სოციალურად დაუცველ მოქალაქეებზე დახმარების და ახალდაბადებულ ბავშვიან ოჯახებზე წამახალისებელი თანხის გაცემის პირობებს 2016 წლის განმავლობაში.

მუხლი 2. პროგრამის აქტუალობა

1. საქართველოში მცხოვრებ მოქალაქეთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება სახელმწიფო სოციალური პოლიტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტად ითვლება.
2. სიღარიბის დაძლევის სახელმწიფო პროგრამის მოქმედების მიუხედავად, სოციალური ფონი არასასურველია. დიდია იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებიც საჭიროებენ დახმარებას.

3. სერიოზული და ანგარიშგასაწევია მძიმე სოციალური მდგომარეობით გამოწვეული უარყოფითი გავლენა

მოქალაქეთა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე.

4. საქართველოში დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით საჭირო წამახალისებელი ღონისძიების გატარების უზრუნველყოფა.

მუხლი 3. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია:

1. აქტიური სოციალური პოლიტიკის გატარება;

2. სოციალურად დაუცველთა დახმარების სისტემის სრულყოფა;

3. სოციალური დახმარების პრიორიტეტების გამოკვეთა;

4. მოქალაქეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის რეაბილიტაციისა და გაუმჯობესებისათვის ხელშეწყობა;

5. ობოლ და მარჩენალდაკარგულ ბავშვთა დახმარება;

6. მარტოხელა დედების, მრავალშვილიანი ოჯახების და ბავშვების სოციალური დაცვა;

7. ხანძრით, მიწისძვრით, ბუნებრივი კატასტროფით, სხვა განსაკუთრებული შემთხვევით დაზარალებული ოჯახი, უსახლკარო ოჯახი და ოჯახი, რომლის ავარიული საცხოვრებელი სახლი საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, დახმარების გაწევა;

8. უკიდურესად გაჭირვებულ მოქალაქეთა ჩართვა უფასო კვების ობიექტებში;

9. სოციალური დახმარების პროგრამაში მეორე მსოფლიო ომის ინვალიდის ან მონაწილის ოჯახის ინტერესების გათვალისწინება.

10. ხანდაზმულ მოქალაქეთა დახმარება.

11. ახალდაბადებული ბავშვიანი ოჯახებისათვის წამახალისებელი ღონისძიების გატარება.

12. ჰემოდიალიზზე მყოფი მოქალაქეების დახმარება.

მუხლი 4. პროგრამის რეალიზაციის ძირითადი მიმართულებები

პროგრამის რეალიზაციის ძირითადი მიმართულებებია:

1. სამართლებრივი საფუძვლების შექმნა;

2. მიზნობრივი პროგრამული მართვის პრინციპებზე გადასვლა;

3. სოციალური დახმარების ტექნოლოგიების სრულყოფა და განახლება;

4. სოციალური სტატისტიკის მოწესრიგება, იდენტიფიკაცია და მონაცემთა ბაზის ფორმირება;

5. საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა განყოფილების სხვა სამსახურებთან კონტაქტის გაღრმავება;

6. მონიტორინგი და შეტყობინების ეფექტური ფორმის დანერგვა;

7. ანალიზი და საინფორმაციო უზრუნველყოფა.

თავი II

სოციალური დახმარებისა და დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიების პროგრამის პრიორიტეტები და სოციალური ღონიძიებები

მუხლი 5. სოციალური დახმარებისა და დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიების

პროგრამის პრიორიტეტები

1. მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირთა ოჯახი;
2. შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვთა (18 წლამდე) ოჯახი;

3. ობოლ და მარჩენალდაკარგულ ბავშვთა (18 წლამდე) ოჯახი;

4. ახალდაბადებული ბავშვიანი ოჯახი, რომლის ორივე მშობელი ან დედა (მარტოხელა დედის შემთხვევაში) რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

5. მრავალშვილიანი ოჯახი, რომლესაც ჰყავს ოთხი და მეტი შვილი და ერთი მაინც არის არასრულწლოვანი (18 წლამდე) ბავშვი;

6. მარტოხელა დედა, რომელსაც ჰყავს 18 წლამდე ასაკის ბავშვი;

7. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულის ოჯახი;

8. ხანძრით, მიწისძვით, ბუნებრივი კატასტროფით, სხვა განსაკუთრებული შემთხვევით დაზარალებული ოჯახი, უსახლკარო ოჯახი და ოჯახი, რომლის ავარიული საცხოვრებელი სახლი საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს;

9. გარდაცვლილი მეორე მსოფლიო ომის ინვალიდის ან მონაწილის ოჯახი

10. უპატრონო მიცვალებული

11. 100 და 100 წელზე ზევით ხანდაზმული მოქალაქე;

12. მეორე მსოფლიო ომის ინვალიდი და მონაწილე;

13. ჰემოდიალიზზე მყოფი მოქალაქე.

მუხლი 6. სოციალური ღონისძიებები

სოციალური ღონისძიებებია

1. უფასო კვების ობიექტის დაფინანსება;

2. ამბოლატორიულ-სტაციონარული მკურნალობისა და გამოკვლევების დაფინანსება (თანადაფინანსება);

3. ჰემოდიალიზზე მყოფი მოქალაქეების ტრანსპორტირების ხარჯით უზრუნველყოფა;

4. სოციალურად დაუცველი ოჯახების გათბობის ხარჯით უზრუნველყოფა;

5. სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის მოხმარებული ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის ღირებულების დაფარვა;

6. შრომითი მოვალეობის შერულებისას, მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის მოსამსახურეების ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

მუხლი 7. დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიება

დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებაა ახალდაბადებულ ბავშვიან ოჯახებზე წამახალისებელი თანხის გაცემა.

თავი III

სოციალური დახმარებისა და დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიების დაფინანსება, ბიუჯეტი, რეალიზაციის ვადა, საჭირო დოკუმენტაცია და დახმარების ოდენობა

მუხლი 8. სოციალური დახმარებისა და დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიების პროგრამის დაფინანსება

სოციალური დახმარებისა და დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიების პროგრამის დაფინანსების წყაროა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი, სადაც სოციალური დაცვისა და დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით გათვალისწინებულია **593 000** ლარი.

მუხლი 9. მინიმალური სოციალური დახმარებისა და დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებების ბიუჯეტი და რეალიზაციის ვადა

ბიუჯეტი და რეალიზაციის ვადა განისაზღვრება პროგრამის დანართის შესაბამისად (დანართი 2 დადგენილებას თან ერთვის).

მუხლი 10. სოციალური დახმარებისა და ახალდაბადებული ბავშვიანი ოჯახებისათვის დახმარების გასაცემად საჭირო დოკუმენტაცია:

1. მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირთა ოჯახი:

ა) განცხადება;

ბ) განმცხადებლისა და მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირის პირადობის მოწმობის ასლები;

გ) შეზღუდული შესაძლებლობის მდგომარეობის დამადასტურებელი სამედიცინო ცნობის ასლი;

დ)ცნობა სარეიტინგო ქულის შესახებ სოციალური მომსახურების სააგენტოს დედოფლისწყაროს რაიონული განყოფილებიდან;

ე) სს კახეთის ენერგოდისტრიბუციის დედოფლისწყაროს აბონენტთა მომსახურეობის ცენტრიდან აბონენტის რეგისტრაციის ნომერი;

ვ) სოკარ ჯორჯია გაზის კახეთის რეგიონალური ოფისის დედოფლისწყაროს სერვის ცენტრიდან აბონენტის რეგისტრაციის ნომერი;

ზ) ადმინიტრაციულ ერთეულში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლის ცნობა ოჯახის ფაქტობრივი ადგილსამყოფელის შესახებ.

2. შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვთა (18 წლამდე) ოჯახი:

ა) განცხადება;

ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

გ) ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი;

დ) შეზღუდული შესაძლებლობის მდგომარების დამადასტურებელი სამედიცინო ცნობის ასლი;

ე) ცნობა სარეიტინგო ქულის შესახებ სოციალური მომსახურების სააგენტოს დედოფლისწყაროს რაიონული განყოფილებიდან;

ვ) სს კახეთის ენერგოდისტრიბუციის დედოფლისწყაროს აბონენტთა მომსახურეობის ცენტრიდან აბონენტის რეგისტრაციის ნომერი;

ზ) სოკარ ჯორჯია გაზის კახეთის რეგიონალური ოფისის დედოფლისწყაროს სერვის ცენტრიდან აბონენტის რეგისტრაციის ნომერი;

თ) ადმინიტრაციულ ერთეულში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლის ცნობა ოჯახის ფაქტობრივი ადგილსამყოფელის შესახებ.

3. ობოლ და მარჩენალდაკარგულ ბავშვთა (18 წლამდე) ოჯახი:

ა) განცხადება;

ბ) მშობლის (მეურვის) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) მეურვის შემთხვევაში დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

დ) ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი;

ე) მშობლის ან მშობლების გარდაცვალების მოწმობ(ებ)ის ასლები;

ვ) ცნობა სარეიტინგო ქულის შესახებ სოციალური მომსახურების სააგენტოს დედოფლისწყაროს რაიონული განყოფილებიდან;

ზ) სს კახეთის ენერგოდისტრიბუციის დედოფლისწყაროს აბონენტთა მომსახურეობის ცენტრიდან აბონენტის რეგისტრაციის ნომერი;

თ) სოკარ ჯორჯია გაზის კახეთის რეგიონალური ოფისის დედოფლისწყაროს სერვის ცენტრიდან აბონენტის რეგისტრაციის ნომერი;

ი) ადმინიტრაციულ ერთეულში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლის ცნობა ოჯახის ფაქტობრივი ადგილსამყოფელის შესახებ.

4. ახალდაბადებული ბავშვიანი ოჯახი:

ა) განცხადება;

ბ) მშობლების პირადობის მოწმობების ან დედის (მარტოხელა დედის შემთხვევაში) პირადობის მოწმობის ასლები

გ) ბავშვ(ებ)ის დაბადების მოწმობ(ებ)ის ასლები;

დ) ერთ-ერთი მშობლის საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები;

ე) ადმინიტრაციულ ერთეულში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლის ცნობა ოჯახის ფაქტობრივი ადგილსამყოფელი შესახებ.

5. მრავალშვილიანი ოჯახი, რომელსაც ჰყავს ოთხი და მეტი შვილი და ერთი მაინც არის არასრულწლოვანი (18 წლამდე ასაკის) ბავშვი:

ა) განცხადება;

ბ) მშობლების პირადობის მოწმობების ასლები;

გ) ბავშვების დაბადების მოწმობის ასლი;

დ) ცნობა სარეიტინგო ქულის შესახებ სოციალური მომსახურების სააგენტოს დედოფლისწყაროს რაიონული განყოფილებიდან;

ე) სს კახეთის ენერგოდისტრიბუციის დედოფლისწყაროს აბონენტთა მომსახურების ცენტრიდან აბონენტის რეგისტრაციის ნომერი;

ვ) სოკარ ჯორჯია გაზის კახეთის რეგიონალური ოფისის დედოფლისწყაროს სერვის ცენტრიდან აბონენტის რეგისტრაციის ნომერი;

ზ) ადმინიტრაციულ ერთეულში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლის ცნობა ოჯახის ფაქტობრივი ადგილსამყოფლის შესახებ.

6. მარტოხელა დედა, რომელსაც ჰყავს 18 წლამდე ასაკის ბავშვი:

ა) განცხადება;

ბ) მშობლის პირადობის მოწმობის ასლი;

გ) მშობლის დაბადების მოწმობის ასლი;

დ) ბავშვ(ებ)ის დაბადების მოწმობ(ებ)ის ასლები;

ე) ცნობა სარეიტინგო ქულის შესახებ სოციალური მომსახურების სააგენტოს დედოფლისწყაროს რაიონული განყოფილებიდან;

ვ) სს კახეთის ენერგოდისტრიბუციის დედოფლისწყაროს აბონენტთა მომსახურეობის ცენტრიდან აბონენტის რეგისტრაციის ნომერი;

ზ) სოკარ ჯორჯია გაზის კახეთის რეგიონალური ოფისის დედოფლისწყაროს სერვის ცენტრიდან აბონენტის რეგისტრაციის ნომერი;

თ) ადმინიტრაციულ ერთეულში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლის ცნობა ოჯახის ფაქტობრივი ადგილსამყოფელის შესახებ.

7. **საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულის ოჯახი:**

ა) განცხადება;

ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

გ) სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

დ) განმცხადებლის საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები.

8. ხანძრით, მიწისძვრით, ბუნებრივი კატასტროფით, სხვა განსაკუთრებული შემთხვევით დაზარალებული ოჯახი, უსახლკარო ოჯახი და ოჯახი,რომლის ავარიული საცხოვრებელი სახლი საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს:

ა) განცხადება;

ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი (ბინის მესაკუთრის, ყოველთვიური ბინის ქირის დანიშვნის შემთხვევაში);

გ) ცნობა ხანძრის, მიწისძვრის, ბუნებრივი კატასტროფის, სხვა განსაკუთრებული შემთხვევის და სიცოცხლისათვის საშიში ავარიული სახლის შესახებ შესაბამისი სამსახურიდან;

დ) ცნობა სარეიტინგო ქულის შესახებ სოციალური მომსახურების სააგენტოს დედოფლისწყაროს რაიონული განყოფილებიდან;

ე) ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლის ცნობა (ოჯახის ალტერნატიული ფართის არქონის შემთხვევაში);

ვ) ბინის მფლობელის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი საჯარო რეესტრიდან (ყოველთვიური ბინის ქირის დანიშვნის შემთხვევაში);

ზ) ბინის მესაკუთრის საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები (ყოველღვიური ბინის ქირის დანიშვნის შემთხვევაში).

9. გარდაცვლილი მეორე მსოფლიო ომის მონაწილის ან ინვალიდის ოჯახი:

ა) განცხადება;

ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

გ) ვეტერანის მოწმობის ან მონაწილის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

დ) ვეტერანის გარდაცვალების მოწმობის ასლი;

ე) ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლის ცნობა ვეტერანის დაკრძალვის ხარჯის გამღები პირის შესახებ;

ვ) განმცხადებლის საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები (გარდაცვლილის ოჯახის წევრი – მეუღლე, შვილი, შვილიშვილი ან შვილთაშვილი).

10. უპატრონო მიცვალებული:

ა) გარდაცვალების მოწმობის ასლი;

ბ) ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლის ცნობა გარდაცვლილი მოქალაქის სოციალური მდგომარეობის (უპატრონობის და სხვა...) შესახებ.

11. 100 და 100 წელზე ზევით ხანდაზმული მოქალაქე:

ა) განცხადება;

ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

გ) საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები.

12. მეორე მსოფლიო ომის ინვალიდი ან მონაწილე:

ა) განცხადება;

ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

გ) ვეტერანობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

დ) საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები.

13. ჰემოდიალიზზე მყოფი მოქალაქე:

ა) განცხადება;

ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

გ) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (დედანი ფორმა № 100);

დ) განმცხადებლის საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები.

მუხლი 11. სოციალური დახმარებისა და ახალდაბადებული ბავშვიანი ოჯახებისათვის გამოყოფილი თანხის ოდენობა

1.მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირთა ოჯახი – 8 (რვა) ლარი ყოველთვიურად, მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების დასაფარად; 20 (ოცი) ლარი ბუნებრივი აირის ღირებულების დასაფარად 2016 წლის I, II, XII თვეში. (ბუნებრივი აირით არ სარგებლობის შემთხვევაში აღნიშნული თანხა 2016 წლის I, II, XII თვეს დაემატოს მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების დასაფარად);

2. შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვთა (18 წლამდე) ოჯახი – 8 (რვა) ლარი ყოველთვიურად, მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების დასაფარად; 20 (ოცი) ლარი ბუნებრივი აირის ღირებულების დასაფარად 2016 წლის I, II, XII თვეებში. (ბუნებრივი აირით არ სარგებლობის შემთხვევაში აღნიშნული თანხა 2016 წლის I, II, XII თვეს დაემატოს მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების დასაფარად);

3. ობოლ და მარჩენალდაკარგულ ბავშვთა ოჯახი, რომელსაც ჰყავს 18 წლამდე ასაკის ერთი არასრულწლოვანი ბავშვი – 8 (რვა) ლარი ყოველთვიურად, მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების დასაფარად; 20 (ოცი) ლარი ბუნებრივი აირის ღირებულების დასაფარად 2016 წლის I, II, XII თვეებში.(ბუნებრივი აირით არ სარგებლობის შემთხვევაში აღნიშნული თანხა 2016 წლის I, II, XII თვეს დაემატოს მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების დასაფარად);

4. ობოლ და მარჩენალდაკარგულ ბავშვთა ოჯახი, რომელსაც ჰყავს 18 წლამდე ასაკის ორი და მეტი არასრულწლოვანი ბავშვი – 12 (თორმეტი) ლარი ყოველთვიურად, მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების დასაფარად; 20 (ოცი) ლარი ბუნებრივი აირის ღირებულების დასაფარად 2016 წლის I, II, XII თვეებში.(ბუნებრივი აირით არ სარგებლობის შემთხვევაში აღნიშნული თანხა 2016 წლის I, II, XII თვეს დაემატოს მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების დასაფარად);

5.ახალდაბადებული ბავშვიანი ოჯახი, რომლის ორივე მშობლი ან დედა (მარტოხელა დედის შემთხვევაში) რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე – 300 (სამასი) ლარი თითოეულ ახალდაბადებულ ბავშვზე;

6. მრავალშვილიანი ოჯახი, რომლესაც ჰყავს ოთხი და მეტი შვილი და ერთი მაინც არის არასრულწლოვანი (18 წლამდე ასკის ბავშვი) – 8 (რვა) ლარი ყოველთვიურად, მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების დასაფარად; 20 (ოცი) ლარი ბუნებრივი აირის ღირებულების დასაფარად 2016 წლის I, II, XII თვეებში.(ბუნებრივი აირით არ სარგებლობის შემთხვევაში აღნიშნული თანხა 2016 წლის I, II, XII თვეს დაემატოს მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების დასაფარად);

7. მრავალშვილიანი ოჯახი, რომლესაც ჰყავს ოთხი და მეტი შვილი და ორი მაინც არის არასრულწლოვანი (18 წლამდე ასკის ბავშვი) – 12 (თორმეტი) ლარი ყოველთვიურად, მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების დასაფარად; 20 (ოცი) ლარი ბუნებრივი აირის ღირებულების დასაფარად 2016 წლის I, II, XII თვეებში.(ბუნებრივი აირით არ სარგებლობის შემთხვევაში აღნიშნული თანხა 2016 წლის I, II, XII თვეს დაემატოს მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების დასაფარად);

8. მარტოხელა დედა, რომელსაც ჰყავს 18 წლამდე ასაკის ერთი არასრულწლოვანი ბავშვი – 8 (რვა) ლარი ყოველთვიურად, მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების დასაფარად; 20 (ოცი) ლარი ბუნებრივი აირის ღირებულების დასაფარად 2016 წლის I, II, XII თვეებში.(ბუნებრივი აირით არ სარგებლობის შემთხვევაში აღნიშნული თანხა 2016 წლის I, II, XII თვეს დაემატოს მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების დასაფარად);

9. მარტოხელა დედა, რომელსაც ჰყავს 18 წლამდე ასაკის ორი და მეტი არასრულწლოვანი ბავშვი – 12 (თორმეტი) ლარი ყოველთვიურად, მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების დასაფარად; 20 (ოცი) ლარი ბუნებრივი აირის ღირებულების დასაფარად 2016 წლის I, II, XII თვეებში. (ბუნებრივი აირით არ სარგებლობის შემთხვევაში აღნიშნული თანხა 2016 წლის I, II, XII თვეს დაემატოს მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების დასაფარად);

10. ხანძრით, მიწისძვრით და ბუნებრივი კატასტროფით, სხვა განსაკუთრებული შემთხვევით დაზარალებული ოჯახი, უსახლკარო ოჯახი და ოჯახი, რომლის ავარიული საცხოვრებელი სახლი საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს – არაუმეტეს 60 (სამოცი) ლარი ყოველთვიურად (საშემოსავლო გადასახადის გარეშე და ჩარიცხვა მოხდეს საშემოსავლო გადასახადის დარიცხვის გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად) ბინის ქირის დასაფარად უძრავი ქონების (საცხოვრებელი ბინის) ქირავნობის ხელშეკრულებისა და კვარტალში ერთხელ გადამოწმების საფუძველზე.

11. გარდაცვლილი მეორე მსოფლიო ომის ინვალიდის ან მონაწილის ოჯახი – 300 ლარი ერთჯერადად.

12. უპატრონო მიცვალებული – 300 ლარი ერთჯერადად;

13. 100 და 100 წელზე ზევით ხანდაზმული მოქალაქე - 300 (სამასი) ლარი ერთჯერადად;

14. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახი - 1000 (ერთი ათასი) ლარი ერთჯერადად.

15. მეორე მსოფლიო ომის ინვალიდი ან მონაწილე - 150 (ასი) ლარი ერთჯერადად;

16. ჰემოდიალიზზე მყოფი მოქალაქე - 100 (ასი) ლარი ყოველთვიურად.

მუხლი 12. სოციალური ღონისძიებების დაფინანსება

1. უფასო კვების ობიექტების დაფინანსება მოხდება მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის გეგმის შესაბამისად.

2. ამბოლატორიულ - სტაციონარული მკურნალობისა და გამოკვლევების დაფინანსება ან თანადაფინანსება და შრომითი მოვალეობის შერულებისას მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის მოსამსახურეების ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება მოხდება მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით დადგენილი წესის საფუძველზე.

3. გათბობის ხარჯით უზრუნველყოფა მოხდება მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით დადგენილი წესის საფუძველზე.

თავი IV
დასკვნითი დებულებები

მუხლი 13. პროგრამების განხორციელების მექანიზმი

1. სოციალური დახმარების გასაცემად საჭირო თანხა დაინიშნება, შეწყდება, შეჩერდება და გამოიყოფა მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანების საფუძველზე, ამ პროგრამით გათვალისწინებული ვადის შესაბამისად.

2. სოციალური დახმარებისა და ახალდაბადებული ბავშვიანი ოჯახისათვის თანხის მისაღებად, მოქალაქის მიერ წარმოდგენილი საბუთების სისწორეს აკონტროლებს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა განყოფილება.

3. მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ (ამ პროგრამით გათვალისწინებული ვადის შესაბამისად) დახმარება ჩაირიცხება მომსახურე ბანკში, მოქალაქის მიერ გახსნილ, სს „კახეთის ენერგოდისტრიბუციის“ ან „სოკარ ჯორჯია გაზის“ ანგარიშზე.

4. არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში თანხა გაიცემა ოჯახის ერთ-ერთ სრულწლოვან წევრზე ან მეურვეზე.

5. მოქალაქემ დახმარების მისაღებად ბანკში უნდა წარადგინოს პირადობის მოწმობა.

6. სოციალური დახმარება II თავის მე-5 მუხლით განხაზღვრულ კატეგორიებზე (გარდა მე-4, მე-7, მე-9, მე-10, მე-11, მე-12 და მე-13 პუნქტებისა) გაიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ოჯახი დარეგისტრირებულია სიღატაკის დაძლევის სახელმწიფო პროგრამის ერთიან ბაზაში და სარეიტინგო ქულა 100 000 და ნაკლებია.

7. 2015 წელს შეუსრულებელი ვალდებულება გათვალისწინებულ იქნეს 2016 წლის დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული (ფაქტობრივად მცხოვრები) მოქალაქეების მინიმალური სოციალური დახმარებისა და დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიების პროგრამის ბიუჯეტში.

მუხლი 14. პროგრამის რეალიზაციაზე პასუხისმგებელი სუბიექტები

1. საორგანიზაციო ნაწილში – დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა განყოფილება.

2. საფინანსო ნაწილში – დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო–საბიუჯეტო ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური.

მუხლი 15. პროგრამის განხორციელების ვადა

პროგრამის განხორციელების ვადაა 2016 წლის 01 იანვარიდან – 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 16. პროგრამის რეალიზაციის საინფორმაციო უზრუნველყოფა

პროგრამის რეალიზაციის შესახებ მოსახლეობას პერიოდულად ეცნობება პრესითა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებგვერდის მეშვეობით.

მუხლი 17. პროგრამის შეფასების კრიტერიუმები

პროგრამის შეფასების კრიტერიუმებია:

1. მინიმალური სოციალური დახმარების ხელმისაწვდომობა;

2. დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად პროგრამაში ჩართვის მაქსიმალურობა;

3. დაგეგმილი და ფაქტიობრივი მონაცემების შესაბამისობა;

4. სოციალური დახმარების გაცემის ვადები.

მუხლი 18. პროგრამის განხორციელების შედეგი

პროგრამის განხორციელების შედეგი იქნება:

1. სოციალური ფონის უკეთესობისაკენ შეცვლა;

2. უკიდურესად გაჭირვებული ფენის შემცირებისათვის ხელშეწყობა;

3. დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება;

4. მძიმე სოციალური პირობების გავლენის შემცირება მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე;

5. სოციალურად დაუცველთა კატეგორიას მიკუთვნებული პირების მონაცემთა ბაზის ჩამოყალიბება.

დანართი №2

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული (ფაქტობრივად მცხოვრები) მოქალაქეების მინიმალური სოციალური დახმარებისა და დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიების 2016 წლის პროგრამის ბიუჯეტი და რეალიზაციის ვადა

№	დასახელება	სოციალური დახმარების მოცულობა (ლარი)		რეალიზაციის ვადა
		ერთ ბენეფიციარზე ან ოჯახზე	სულ	
1	I. უფასო კვების ობიექტის დაფინანსება		220 000	ბიუჯეტის გეგმის შესაბამისად
2	II. გარდაცვლილი მეორე მსოფლიო ომის ინვალიდის ან მონაწილის დაკრძალვის ხარჯი	300 ლარი	3 000	
3	III. სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება		370 000	
	ა) ობოლ და მარჩენალდაკარგულ ბავშვთა ოჯახი, რომელსაც ჰყავს ერთი არასრულწლოვანი ბავშვი	8 ლარი ყოვეთვიურად 20 ლარი I,II,XII თვეში	5 000	პროგრამის შესაბამისად
	ბ) ობოლ და მარჩენალდაკარგულ ბავშვთა ოჯახი, რომელსაც ჰყავს ორი და მეტი არასრულწლოვანი ბავშვი	12 ლარი ყოველთვიურად 20 ლარი I,II,XII თვეში	5 000	პროგრამის შესაბამისად
	გ) მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირი	8 ლარი ყოვეთვიურად 20 ლარი I,II,XII თვეში	20 000	პროგრამის შესაბამისად
	დ) შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვი	8 ლარი ყოვეთვიურად 20 ლარი I,II,XII თვეში	4 000	პროგრამის შესაბამისად
	ე) მარტოხელა დედა, რომელსაც ჰყავს ერთი არასრულწლოვანი ბავშვი	8 ლარი ყოვეთვიურად 20 ლარი I,II,XII თვეში	7 000	პროგრამის შესაბამისად
	ვ) მარტოხელა დედა, რომელსაც ჰყავს ორი და მეტი არასრულწლოვანი ბავშვი	12 ლარი ყოველთვიურად 20 ლარი I,II,XII თვეში	4 000	პროგრამის შესაბამისად
	ზ) მრავალშვილიანი ოჯახი, რომელსაც ჰყავს ოთხი და მეტი შვილი და ერთი მაინც არის არასრულწლოვანი	8 ლარი ყოვეთვიურად 20 ლარი I,II,XII თვეში	5 000	პროგრამის შესაბამისად
	თ) მრავაშვილიანი ოჯახი, რომელსაც ჰყავს ოთხი და მეტი შვილი და ორი მაინც არის არასრულწლოვანი	12 ლარი ყოველთვიურად 20 ლარი I,II,XII თვეში	20 000	პროგრამის შესაბამისად
	ი) ახალდაბადებული ბავშვიანი ოჯახი	300 ლარი ერთჯერადად	100 000	პროგრამის შესაბამისად
	კ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულის ოჯახი	1000 ლარი ერთჯერადად	13 000	პროგრამის შესაბამისად
	ლ) უპატრონო მიცვალებული	300 ლარი ერთჯერადად	1 200	პროგრამის

				შესაბამისად
	მ) ამბოლატორიულ – სტაციონარული მკურნალობისა და გამოკვლევების დაფინანსება (თანადაფინანსება) (2015 წლის ვალდებულების გათვალისწინებით)	500 ლარამდე	75 000	პროგრამის შესაბამისად
	ნ) ხანძრით, მიწისძვრით , ბუნებრივი კატასტროფით, სხვა განსაკუთრებული შემთხვევით დაზარალებული ოჯახი, უსახლკარო ოჯახი და ოჯახი, რომლის ავარიული საცხოვრებელი სახლი საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს	60 ლარამდე ყოველთვიურად (საშემოსავლო გადასახადის გარეშე)	43 000	პროგრამის შესაბამისად
	ო) სოციალურად დაუცველი მოქალაქეების გათბობის ხარჯით უზრუნველყოფა	100 ლარი ერთჯერადად	40 000	პროგრამის შესაბამისად
	პ) ხანდაზმული მოქალაქე	300 ლარი ერთჯერადად	800	პროგრამის შესაბამისად
	ჟ) მეორე მსოფლიო ომის ინვალიდი ან მონაწილე	150 ლარი ერთჯერადად	4 000	პროგრამის შესაბამისად
	რ) ჰემოდიალიზზე მყოფი მოქალაქეების სოციალური დაცვა (ტრანსპორტირების ხარჯი)	100 ლარი ყოველთვიურად	8 000	პროგრამის შესაბამისად
	ს) 2015 წლის ვალდებულება		15 000	
	სულ:		**593 000**	